

სკოლის თვითშეფასების კითხვარი
მზამზა პირველკლასელთა
სრანწიციილთვილ



საქართველოს
განათლებისა და
მეცნიერების
სამინისტრო



პრეამბულა

სკოლის პირველი წელი და სასწავლო გარემოსთან პირველი შეხება განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ბავშვის შემდგომ განვითარებაზე, მისი თვითშეფასების, ემოციური კეთილდღეობის ფორმირებაზე. მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო ცხოვრების დასაწყისშივე ბავშვებმა დადებითი გამოცდილება მიიღონ და მომზადებულები შეხვდნენ ცვლილებებს. სკოლაში შესვლასთან დაკავშირებული სიახლეებისა და მოულოდნელობების მინიმუმამდე შესამცირებლად მნიშვნელოვანია წინასწარ დაიგეგმოს ტრანზიციის პროცესი.

სკოლა რეგულარულად დგება სიახლეების წინაშე, უწევს რა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ბავშვების ახალი მრავალრიცხოვანი ჯგუფების მიღება. მნიშვნელოვანია, რომ მიმღები დაწესებულებები იყვნენ ბავშვების მხარდამჭერები ამ პროცესში და არ ჰქონდეთ ერთგვაროვანი/სტანდარტული მოლოდინი მათ მიმართ მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვები ერთ ასაკობრივ ჯგუფს განეკუთვნებიან. სკოლის მიზანს უნდა წარმოადგენდეს სასწავლო გარემოს ცვლილება ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით და არა ბავშვების ტრანსფორმირება გარემოს მოთხოვნების შესაბამისად. მას უნდა ჰქონდეს მზაობა, რომ შესაძლებელია მოუწიოს გასულ წელს გატარებული ცვლილების მოდიფიცირება იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ყოველ წელს დარეგისტრირებული ახალი მოსწავლე უნიკალურია თავისი საჭიროებით, მზაობით, სოციალური სტატუსით და სხვა.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სკოლას, როგორც მიმღებ დაწესებულებას, ჰქონდეს ინსტრუმენტი, რომელიც დაეხმარება, ყოველ ახალ სასწავლო წელს სათანადოდ დაგეგმოს ტრანზიციის პროცესი, რომლის განხორციელების შემდეგაც გააანალიზოს შედეგები და მის გასაუმჯობესებლად მიმართოს თვითრეფლექსიას.

ავტორი: მარიკა ბაქარეიშვილი, ინკლუზიური და სპეციალური განათლების მაგისტრი

კითხვარი შექმნილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ორგანიზაციის მიერ „ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისთვის“, „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის“ მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - „ტრანზიციის პრაქტიკის მდგრადად ინტეგრირება ადრეული და დაწყებითი განათლების სისტემაში - III ფაზა“.

ავტორის მიერ გამკვლევებში ასახული ინფორმაცია შესაძლოა არ გამოხატავდეს „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

მზაობა პირველკლასელთა ტრანზიციისთვის კითხვარის სტრუქტურა

კითხვარი არის თვითშეფასების ინსტრუმენტი, რომელიც აფასებს სკოლის მზაობას პირველკლასელთა ტრანზიციისადმი. სკოლა ყოველწლიურად აფასებს მას, რათა, ერთი მხრივ, დარწმუნდეს, რომ სკოლაში ბავშვების ტრანზიციისა და შემდგომ საგაკვეთილო პროცესში მათი ჩართულობის მექანიზმები არის ეფექტური, მეორე მხრივ, შეძლოს სკოლის დონეზე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და დაგეგმოს საჭირო ცვლილებები.

კითხვარში წარმოდგენილია შვიდიბლოკი. თითოეული შედგება ძირითადი კითხვისგან, დამამუსტებელი შეკითხვებისა და საორიენტაციო შესრულების ინდიკატორებისგან. ინდიკატორების მიზანია, განუმარტოს კითხვარზე მომუშავე პირს / ჯგუფს, რა შეიძლება ჰქონდეს სკოლას განხორციელებული აღნიშნული მოთხოვნის ფარგლებში.

თითოეულ ბლოკში წარმოდგენილია შესავსები ველი სკოლისათვის, სადაც ის დასმული შეკითხვების გათვალისწინებით აანალიზებს, ტრანზიციის პროცესთან მიმართებით რა არის მისი ძლიერი მხარე და სად იკვეთება სირთულეები. ამის მიხედვით შემუშავდება პრობლემების მოგვარების გეგმა.

ბლოკი N1:	სკოლაში პირველკლასელთა ტრანზიციის მხარდამჭერი ფორმალური პროცედურების / რეგულაციების არსებობა
ბლოკი N2:	სკოლაში პირველკლასელთა ტრანზიციის ადრეული დაგეგმვის პრაქტიკა
ბლოკი N3:	ზრუნვა პირველკლასელთა და მათი მშობლების მზაობაზე
ბლოკი N4:	პედაგოგიური კოლექტივის მზაობა, უპასუხოს მოსწავლეთა მრავალფეროვან საჭიროებებს
ბლოკი N5:	სკოლის ფიზიკური გარემოს მზაობა
ბლოკი N6:	მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფექტური ტრანზიციისა და აკადემიური პროგრესისთვის
ბლოკი N7:	ტრანზიციის ეფექტურობის შეფასება

ბლოგი N1. სკოლაში პირველკლასელთა ტრანზიციის მხარდამჭერი ფორმალური პროცედურების / რეგულაციების არსებობა

კითხვა: რამდენად არის გათვალისწინებული სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებსა და ფორმალურ პროცედურებში პირველკლასელთა ტრანზიციის მხარდამჭერი მექანიზმი და პროცედურები?

დამამუსტებელი კითხვები:

- » რამდენად განერილია სკოლაში პირველკლასელთა ტრანზიციის მხარდამჭერი მექანიზმი სკოლის შიდა დოკუმენტებში?
- » აქვს თუ არა სკოლას პირველკლასელთა ტრანზიციის მხარდამჭერი პროგრამა? განხორციელდა თუ არა ტრანზიციის პროგრამის განახლება / დამუსტება მიმდინარე წლისთვის?
- » ჰყავს თუ არა სკოლას განსაზღვრული ტრანზიციამე პასუხისმგებელი პირი? არის თუ არა განერილი ტრანზიციამე პასუხისმგებელი პირის/პირების მოვალეობები?
- » შემუშავებულია თუ არა ტრანზიციასთან დაკავშირებული საჭიროებების გამოსავლენი ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება მოსწავლის ტრანზიციის ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესში?
- » მიღებულია / შემუშავებულია თუ არა მოსწავლეთა ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის დოკუმენტი?
- » რამდენად არის განერილი ტრანზიციის პროცესის მონიტორინგის მექანიზმი?

შესრულების საორიენტაციო ინდიკატორები:

- » სკოლის შინაგანაწესი ასახავს იმ პროცედურებს, რომელთა საშუალებით ხდება სკოლაში პირველკლასელთა ტრანზიციის მხარდაჭერა;
- » სკოლას შერჩეული ჰყავს ტრანზიციის პროცესის კოორდინატორი;
- » სკოლას განერილი აქვს ტრანზიციის პროცესის კოორდინირებაზე პასუხისმგებელი პირის/პირების მოვალეობა და სამუშაო აღწერილობა;
- » სკოლას დამტკიცებული აქვს პირველკლასელთა ტრანზიციის მხარდამჭერი პროგრამა, სადაც ასახულია ზოგადი ღონისძიებები, რომელსაც ის ახორციელებს ტრანზიციის პროცესში;
- » პროგრამა დამუსტებულია მიმდინარე წლისთვის სკოლის და ახლად დარეგისტრირებული ბავშვების საჭიროებების გათვალისწინებით;

- » სკოლას დამტკიცებული აქვს ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის ფორმა (იხილეთ დანართი N1) და ტრანზიციასთან დაკავშირებული საჭიროებების გამოსავლენი ინსტრუმენტი. აღნიშნული ინსტრუმენტი გამოიყენება მოსწავლის ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის შემუშავების პროცესში;
- » სკოლას დამტკიცებული აქვს ტრანზიციის პროცესის მონიტორინგის ინსტრუმენტი

ზემოთ წარმოდგენილი დებულებების გათვალისწინებით, გთხოვთ მოკლედ აღწეროთ:

- ა. რა არის სკოლის ამჟამინდელი სტატუსი?
- ბ. რა არის გამოწვევა და რატომ?
- გ. რა იქნება სკოლისათვის გამოწვევებთან გამკლავების კონკრეტული გეგმა?

ბლოკი N2. სკოლაში პირველკლასელთა ტრანზიციის ადრეული დაგეგმვა

კითხვა: რამდენად ადრე და რა პროცედურებით იწყებს სკოლა პირველკლასელთა ტრანზიციისთვის მზადებას?

დამაზუსტებელი კითხვები:

- » ხორციელდება თუ არა შეხვედრები მასწავლებლებთან, ინკლუზიური განათლების სპეციალისტებთან ახალი სასწავლო წლისათვის დარეგისტრირებული ბავშვების ტრანზიციის პროცესის თანმიმდევრულად დაგეგმვის მიზნით?
- » განსაზღვრულია თუ არა წინასწარ პირველი კლასის დამრიგებლები?
- » გაანალიზებულია თუ არა ახალი სასწავლო წლისათვის დარეგისტრირებული ბავშვების ნაკადი, მათი საჭიროებები და მშობელთა უპირატესი სურვილები?
- » გაანალიზებულია თუ არა ადრეული რეგისტრაციის დროს იდენტიფიცირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების საჭიროებები, ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნები და მშობელთა უპირატესი სურვილები?
- » არიან თუ არა იდენტიფიცირებული ბავშვები, რომლებიც ტრანზიციის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას და განხორციელებას მოითხოვენ?
- » დაწყებულია თუ არა და როგორ მიმდინარეობს ტრანზიციის ინდივიდუალური გეგმების განხორციელება?
- » რამდენად თანამშრომლობითია ტრანზიციის ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესი - ჩართულია თუ არა მასში მოსწავლის მშობელი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება / ადრეული განვითარების სერვისი და სხვ.?

შესრულების საორიენტაციო ინდიკატორები:

- » მიმდინარე სასწავლო წლის დასრულებამდე სკოლის ადმინისტრაცია ატარებს საორიენტაციო შეხვედრებს ტრანზიციის კოორდინატორსა და დაწყებითი განათლების მასწავლებლებთან მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვის მიზნით;
- » სკოლის ადმინისტრაციას სწავლის დაწყებამდე მინიმუმ 4 თვით ადრე შერჩეული ჰყავს პირველი კლასის დამრიგებლები;
- » სკოლის ადმინისტრაციისა და დამრიგებლებისთვის ცნობილია ახალი სასწავლო წლისათვის დარეგისტრირებული ბავშვების საჭიროებები და მშობელთა უპირატესი სურვილები;

- » ტრანზიციის კოორდინატორი სკოლის ადმინისტრაციასა და პირველი კლასის დამრიგებლებთან ერთად გეგმავს პირველკლასელთა ტრანზიციის პროცესს, განიხილავს განსახორციელებელ აქტივობებს, ადგენს აქტივობების განრიგს, ითვალისწინებს მშობელთა უპირატეს სურვილებს;
- » სკოლის ადმინისტრაციისა და დამრიგებლებისთვის ცნობილია ადრეული რეგისტრაციის დროს იდენტიფიცირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების პრობლემები (გაანალიზებულია ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნები და სხვა დამატებითი დოკუმენტაცია);
- » იდენტიფიცირებულია ბავშვები, რომლებიც ინდივიდუალურ მხარდაჭერას, ანუ, ინდივიდუალურ გეგმას საჭიროებენ ტრანზიციის პროცესში, დაზუსტებულია ამასთან დაკავშირებული მათი საჭიროებები;
- » ტრანზიციის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესი თანამშრომლობითია. მასში ჩართული არიან: სკოლა (ადმინისტრაცია, დამრიგებელი, კოორდინატორი), მშობელი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება / ადრეული განვითარების სერვისი და სხვ.
- » მხარდაჭერის საჭიროების მქონე მოსწავლეთა ტრანზიცია ხორციელდება შემუშავებული გეგმის შესაბამისად; გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციები და ინფორმაცია, რომლის გაზიარებაც ხდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების/ადრეული განვითარების სერვისის და/ან ოჯახის მიერ.

ზემოთ წარმოდგენილი დებულებების გათვალისწინებით, გთხოვთ მოკლედ აღწეროთ:

- ა. რა არის სკოლის ამჟამინდელი სტატუსი?
- ბ. რა არის გამოწვევა და რატომ?
- გ. რა იქნება სკოლისათვის გამოწვევებთან გამკლავების კონკრეტული გეგმა?

ბლოკი N3. მზაობის შექმნა პირველკლასელებისა და მათი მშობლებისთვის

კითხვა: როგორ ბრუნავს სკოლა იმისათვის, რომ ბავშვებსა და მშობლებს ჰქონდეთ მზაობა და მიიღონ მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია სასწავლო პროცესის შესახებ?

დამამუშავებელი კითხვები:

- » სასწავლო წლის დაწყებამდე ხორციელდება თუ არა საინფორმაციო შეხვედრები პირველკლასელთა მშობლებთან (როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად)? განსაზღვრულია თუ არა შეხვედრის თარიღები?
- » არიან თუ არა მშობლები ინფორმირებულები თარიღების შესახებ?
- » სასწავლო წლის დაწყებამდე ხორციელდება თუ არა პირველკლასელთა საორიენტაციო ვიზიტები სკოლაში როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად? შეთანხმებულია თუ არ თარიღები მშობლებთან?
- » რამდენად აქვს განსაზღვრული ტრანზიციის კოორდინატორს პირველკლასელთა დამრიგებლებთან ერთად ის აქტივობები, რომლებსაც ბავშვებს სკოლაში საორიენტაციო-გაცნობითი ვიზიტისას შესთავაზებენ?
- » შექმნილია თუ არა საინფორმაციო პაკეტი სკოლის საგანმანათლებლო სერვისების, ფიზიკური გარემოს, რესურსების შესახებ და არის თუ არა ის საჭირო? ხომ არ საჭიროებს ბროშურა განახლებას?
- » შექმნილია თუ არა გასაგებ ფორმატში საინფორმაციო ბროშურა ბავშვებისთვის სკოლის და იქ მოსალოდნელი პროცესების შესახებ? ხომ არ საჭიროებს ბროშურა განახლებას? გადაეცა თუ არა ეს ბროშურა ბავშვს?
- » რამდენად ინფორმირებულია ყველა მშობელი მისთვის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, გაიცნო თუ არა ტრანზიციის პროცესის კოორდინატორი, დამრიგებელი, მოინახულა თუ არა საკლასო ოთახი და ა.შ.;
- » გადაცემულია თუ არა მისთვის საინფორმაციო პაკეტი?

შესრულების საორიენტაციო ინდიკატორები:

- » პირველკლასელთა რეგისტრაციის დასრულებისთანავე სკოლა ადგენს პირველკლასელთა მშობლებთან საინფორმაციო შეხვედრების (როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად) განრიგს; მშობლები ინფორმირებული არიან შეხვედრის თარიღების შესახებ;

- » სკოლას გაწერილი აქვს ბავშვებთან საორიენტაციო შეხვედრების განრიგი და სცენარი; შეთანხმებულია შეხვედრის თარიღები მშობლებთან;
- » ტრანზიციის კოორდინატორს პირველკლასელთა დამრიგებლებთან ერთად განსაზღვრული აქვს ის აქტივობები, რომლებსაც ბავშვებს სკოლაში საორიენტაციო - გაცნობითი ვიზიტისას შესთავაზებენ; მობილიზებულია აქტივობებისთვის საჭირო რესურსი და სივრცე;
- » სკოლა ქმნის სხვადასხვა საინფორმაციო ბროშურებს (მათ შორის ელექტრონულს) თავისი მომავალი მოსწავლეებისთვის და უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას. სკოლა საჭიროებისამებრ განაახლებს საინფორმაციო ბროშურას;
- » ბავშვებისთვის მისაწვდომ ფორმატში სკოლას შემუშავებული აქვს საინფორმაციო ბროშურა სკოლის შესახებ;
- » სკოლის დაწყებამდე მშობლები ეცნობიან შვილის დამრიგებლებს, სასწავლო გარემოს, სკოლაში არსებულ წესებს;
- » სკოლის დაწყებამდე ბავშვები ეცნობიან თავიანთ დამრიგებელს, მასწავლებლებს სასწავლო გარემოს, სკოლაში არსებულ წესებს.

ზემოთ წარმოდგენილი დებულებების გათვალისწინებით, გთხოვთ მოკლედ აღწეროთ:

- ა. რა არის სკოლის ამჟამინდელი სტატუსი?
- ბ. რა არის გამოწვევა და რატომ?
- გ. რა იქნება სკოლისათვის გამოწვევებთან გამკლავების კონკრეტული გეგმა?

ბლოგი N4. სკოლის მზაობა უპასუხოს მოსწავლეთა მრავალფეროვან საჭიროებებს სათანადოდ მომზადებული პედაგოგიური კოლექტივითა და არსებული სერვისით.

კითხვა: რამდენად საჭიროებს სკოლის პედაგოგიური კოლექტივი გაძლიერებას, იმისათვის რომ დააკმაყოფილოს მოსწავლეთა მრავალფეროვანი საჭიროებები?

დამამუხტებელი კითხვები:

- » რამდენად გვინდება სკოლაში დამატებითი მხარდამჭერი სერვისების დანერგვის საჭიროება მოსწავლის / მოსწავლეების საჭიროების გათვალისწინებით? რა გეგმა არსებობს სერვისების განვითარებისთვის?
- » რამდენად ფლობენ მასწავლებლები და მხარდამჭერი სპეციალისტები ეფექტური ტრანზიციის განხორციელების კომპეტენციას? ხომ არ საჭიროებენ ტრენინგებს ტრანზიციის პროცესის ორგანიზების შესახებ?
- » რამდენად ფლობენ მასწავლებლები და მხარდამჭერი სპეციალისტები იმ კომპეტენციას, რომლის ქონის აუცილებლობაც გამოვლინდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ნაკადის სათანადო ანალიზისას?
- » აკმაყოფილებს თუ არა სკოლაში არსებული ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტების რაოდენობა გამოვლენილ საჭიროებებს? ხომ არ გამოვლინდა დამატებითი სპეციალისტების საჭიროება იმ მოსწავლეთათვის, რომლებმაც აღრეული რეგისტრაცია გაიარეს?
- » დაწყებულია თუ არა პროცედურები მასწავლებელთა და მხარდამჭერ სპეციალისტთა კომპეტენციის გასაძლიერებლად მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის მართვისთვის?
- » დაწყებულია თუ არა პროცედურები ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტების დასამატებლად?

შესრულების საორიენტაციო ინდიკატორები:

- » სკოლა იყენებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა აღრეული რეგისტრაციის პროცედურას და დროულად აქვს განსაზღვრული საჭირო დამატებითი სერვისები: ტრანსპორტით მომსახურება, ჟესტური ენის თარჯიმნის მომსახურება და ა.შ.;
- » სკოლას დაწყებული აქვს პროცედურები დამატებითი სერვისების უზრუნველყოფის მიზნით - გაკეთებულია მიმართვა, გამოცხადებულია შესყიდვა / შერჩევა და ა.შ.

- » სკოლა იყენებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ადრეული რეგისტრაციის პროცედურას და დროულად აქვს გაანალიზებული მასწავლებელთა და მხარდამჭერ სპეციალისტთა კომპეტენციის ზრდის საჭიროება, მათი რაოდენობის გაზრდის საკითხი;
- » სკოლას დაზუსტებული აქვს, რა მიმართულებით საჭიროებენ მასწავლებლები და მხარდამჭერი სპეციალისტები კომპეტენციების გაძლიერებას;
- » მასწავლებელთა კომპეტენციის გასაძლიერებლად სკოლას დროულად აქვს დაწყებული შესაბამისი ღონისძიებები; სკოლის ადმინისტრაცია მხარს უჭერს მასწავლებელთა და სპეციალისტთა დასწრებას რელევანტურ საგანმანათლებლო კურსებზე;
- » მასწავლებლებს და ინკლუზიური განათლების სპეციალისტებს აქვთ მოტივაცია გაიარონ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები; ისინი პროაქტიურად ბრუნდებიან ამაზე რელევანტურ საგანმანათლებლო კურსებში მონაწილეობის გზით;
- » სკოლა იყენებს სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ადრეული რეგისტრაციის პროცედურას დამხმარე სპეციალისტების დროული მობილიზებისათვის;
- » სკოლას დროულად (სწავლის დაწყებამდე) ჰყავს მობილიზებული შესაბამისი რაოდენობის და კვალიფიკაციის ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტები (მაგ.: დამატებითი სპეცმასწავლებელი, მოსწავლის ინდივიდუალური ასისტენტი, ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპევტი);
- » სასწავლო წლის დასაწყისში სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლები და სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ საჭირო კომპეტენციებს (მაგ.: დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომებით სწავლების კომპეტენცია, ქცევის პოზიტიურად მართვის კომპეტენცია, აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეებთან კომუნიკაციის კომპეტენცია და ა.შ.), რათა ეფექტურად განახორციელონ ტრანზიციის პროცესი და სწავლება.

გემოთ წარმოდგენილი დებულებების გათვალისწინებით, გათხოვთ მოკლედ აღწერეთ:

- ა. რა არის სკოლის ამჟამინდელი სტატუსი?
- ბ. რა არის გამოწვევა და რატომ?
- გ. რა იქნება სკოლისათვის გამოწვევებთან გამკლავების კონკრეტული გეგმა?

ბლოკი N5. სკოლის ფიზიკური გარემოს მზაობა

კითხვა: რამდენად უპასუხებს სკოლის ფიზიკური გარემო მრავალფეროვან მოსწავლეთა საჭიროებებს ინტელექტუალური, სენსორული, მოტორული თუ სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით?

დამაზუსტებელი კითხვები:

- » რამდენად მოხდა მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინება პირველკლასელთა საკლასო ოთახების შერჩევის და საკლასო ოთახებში მათი გადანაწილების პროცესში?
- » რამდენად უპასუხებს სკოლის ფიზიკური გარემო მოსწავლეთა გამოკვეთილ საჭიროებებს? ხომ არ ვლინდება სკოლის სივრცეში ბარიერები კონკრეტული მოსწავლის / მოსწავლეებისთვის? **იხილეთ დანართი N2 სკოლის ფიზიკურ გარემოზე რეფლექსიისთვის.**
- » დაწყებულია თუ არა პროცედურები ბარიერების შესამცირებლად? მაგ., დაწყებულია თუ არა კომუნიკაციასთან დაკავშირებული საშუალებებთან სკოლის ფიზიკური გარემოს მოწყობასთან დაკავშირებით? მოძიებულია თუ არა რესურსი ფიზიკური გარემოს მოსაწყობად?
- » რამდენად ვლინდება სკოლაში დამატებითი სივრცითი მოწყობის და რესურსების მობილიზების საჭიროება (მაგ.: რესურსოთახის მოწყობა, დამხმარე ტექნოლოგიების შეძენა, მასალის / ინვენტარის განახლება);
- » რა გეგმა არსებობს სკოლაში დამატებითი სივრცის მოსაწყობად და რესურსების მობილიზებისთვის? დაწყებულია თუ არა შესაბამისი პროცედურები (მაგ., მოძიებულია თუ არა რესურსები დამხმარე ტექნიკური საშუალებებისთვის, საგანმანათლებლო რესურსების და / ან ადაპტირებული ავეჯის შესყიდვისათვის)?

შესრულების საორიენტაციო ინდიკატორები:

- » პირველკლასელთა საკლასო ოთახების შერჩევისას და საკლასო ოთახებში მათი გადანაწილებისას სკოლამ გაითვალისწინა მოსწავლეთა საჭიროებები;
- » სკოლამ შეაფასა არსებული ფიზიკური გარემო და გამოავლინა ბარიერები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის.
- » სკოლას შემუშავებული აქვს ბარიერების შემცირების გეგმა, დაწყებული აქვს შესაბამისი პროცედურები (კომუნიკაცია შესაბამის უწყებებთან, შესყიდვების შესაბამისი პროცედურები და ა.შ.) ბარიერების შესამცირებლად;

- » სკოლამ გამოავლინა დამატებითი სივრცითი მოწყობის და / ან რესურსების მობილიზების საჭიროება (მაგ.: რესურსოთახის მოწყობა, დამხმარე ტექნოლოგიების, მასალის / ინვენტარის შეძენა / განახლება);
- » სკოლას შემუშავებული რესურსების მობილიზების გეგმა, დაწყებული აქვს შესაბამისი პროცედურები (მოლაპარაკებები, შესყიდვები) რესურსების მობილიზებისთვის;
- » სკოლა აქტიურად მუშაობს თემში და იდენტიფიცირებული ჰყავს უწყებები / ორგანიზაციები დამატებითი რესურსების მობილიზებისთვის; აქვს პროაქტიური კომუნიკაცია აღნიშნულ უწყებებთან / ორგანიზაციებთან.

ზემოთ წარმოდგენილი დებულებების გათვალისწინებით, გთხოვთ მოკლედ აღწეროთ:

- ა. რა არის სკოლის ამჟამინდელი სტატუსი?
- ბ. რა არის გამოწვევა და რატომ?
- გ. რა იქნება სკოლისათვის გამომწვევებთან გამკლავების კონკრეტული გეგმა?

ბლოკი N6. ეფექტური ტრანზიციის და აკადემიური პროგრესის უზრუნველყოფა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ორგანიზების გზით.

კითხვა: როგორ მიმდინარეობს პირველკლასელთა სასწავლო პროცესის მხარდაჭერა სკოლასთან ადაპტაციის და აკადემიური პროგრესის მისაღწევად?

დამამუშავებელი კითხვები:

- » რამდენად ადევენებს მასწავლებელი / მასწავლებლები თვალს სასკოლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესს?
- » როგორ რეაგირებს და რა გზებს მიმართავს მასწავლებელი სასწავლო პროცესში ტრანზიციით განპირობებული გამოწვევების შესამცირებლად და მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობის გასაუმჯობესებლად (იგულისხმებასკოლაში სიარულის დაბალი მოტივაცია, დაბალი ჩართულობა, პასიურობა, კომუნიკაციის არიდება, ნელი აკადემიური პროგრესი და ა.შ.)?
- » რამდენად და როგორ თანამშრომლობენ მასწავლებლები ერთმანეთთან და მოსწავლის მშობელთან ტრანზიციის პროცესით განპირობებული გამოწვევების შესამცირებლად და სასკოლო გარემოში მოსწავლის ეფექტური ჩართულობის მისაღწევად?
- » როგორ უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია გარე სათანადო უწყებებთან თანამშრომლობას?

შესრულების საორიენტაციო ინდიკატორები:

- » სასწავლო პროცესში მასწავლებლები ახდენენ სკოლაში ტრანზიციით განპირობებული გამოწვევების დროულ იდენტიფიცირებას და მასზე პროაქტიურად რეაგირებენ;
- » სკოლის გარემოში მოსწავლეთა ტრანზიციის და სწავლის პროცესში მათი ჩართულობის გასაუმჯობესებლად მასწავლებლებმა და მხარდაჭერმა სპეციალისტებმა განახორციელეს მოსწავლეთა ჩართულობის, პროგრესის და ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შეფასება/დაკვირვება;
- » სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესებს, გამოცდილებას; ამისათვის ეყრდნობა მოსწავლის შეფასებას და/ან პორტფოლიოში და/ან საკომუნიკაციო პასპორტში ასახულ მონაცემებს;

- » მასწავლებელი იყენებს სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს, მოსწავლისთვის საინტერესო რესურსებს და მამოტივირებელ აქტივობებს, პოზიტიური კომუნიკაციის და ქცევის მართვის სტრატეგიებს;
- » სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით სკოლაში დანერგილია მოსწავლის საჭიროებებზე ორიენტირებული გუნდური განხილვების პრაქტიკა;
- » მასწავლებლებს აქვთ ხშირი კომუნიკაცია ერთმანეთთან, მხარდაჭერა სპეციალისტებსა და მშობელთან მოსწავლის სასწავლო პროგრესზე, ფსიქო-ემოციურ მდგომარეობასა და მოტივაციაზე რეფლექსიის მიზნით;
- » მასწავლებლებს აქვთ ხშირი კომუნიკაცია იმ უწყებებსა და პროფესიონალებთან, რომლებსაც აქვთ კონკრეტულ ბავშვთან მუშაობის დიდი გამოცდილება ან მის სპეციფიკურ საჭიროებებთან გამკლავების კომპეტენცია;
- » სკოლა და მასწავლებლები მოტივირებულები არიან, გაითვალისწინონ მიღებული რეკომენდაციები.

გემოთ წარმოდგენილი დებულებების გათვალისწინებით, გთხოვთ მოკლედ აღწეროთ:

- ა. რა არის სკოლის ამჟამინდელი სტატუსი?
- ბ. რა არის გამოწვევა და რატომ?
- გ. რა იქნება სკოლისათვის გამოწვევებთან გამკლავების კონკრეტული გეგმა?

ბლოგი N7. ტრანზიციის მხარდაჭერის ეფექტურობის შეფასება

კითხვა: რამდენად ეფექტურად განახორციელა სკოლამ პირველკლასელთა ტრანზიცია და სასწავლო პროცესში მათი ჩართვა?

დამამუშავებელი კითხვები:

- » იყო თუ არა სათანადოდ გამოვლენილი ყველა ბავშვის საჭიროება?
- » შეძლო თუ არა სკოლამ გუნდური მიდგომის გამოყენებით პოზიტიური კომუნიკაციის დამყარება ბავშვის წარმომადგენლებთან (მშობლებთან, სოციალური სერვისებისა და სკოლამდელი დაწესებულების სპეციალისტებთან)?
- » მოხდა თუ არა ბავშვების გამოვლენილ საჭიროებებზე ეფექტური და დროული რეაგირება?
 - სკოლის ფიზიკური გარემოში ბარიერების შემცირება?
 - მოსწავლისთვის შესაბამისი სპეციალისტების მხარდაჭერის მიწოდება?
 - სასწავლო პროცესის ორგანიზება მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით?
- » შეძლო თუ არა მოსწავლემ სასწავლო პროცესში ჩართვა და ადაპტირება?

შესრულების საორიენტაციო ინდიკატორები:

- » სკოლამ სასწავლო წლის დაწყებამდე შეძლო დარეგისტრირებულ პირველკლასელთა ინდივიდუალური საჭიროებების გამოკვეთა და შემდგომი ღონისძიებების განხორციელება აღნიშნულის გათვალისწინებით;
- » სკოლამ პოზიტიური კომუნიკაცია დაამყარა მშობელთან, უზრუნველყო ინფორმაციის დროული მიმოცვლა;
- » სკოლამ ითანამშრომლა მშობლებთან, სოციალური სერვისებისა და სკოლამდელი დაწესებულების სპეციალისტებთან, გაიზიარა მიღებული რეკომენდაციები;
- » გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად სკოლამ შეძლო:
 - დამატებითი სპეციალისტების დროული დამატება (მოძიება და აყვანა);
 - პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლება;
 - ფიზიკურ გარემოში არსებული ბარიერების შემცირება;
 - სასწავლო რესურსების და/ან დამხმარე ტექნოლოგიების შესყიდვა.
- » გამოვლენილი საჭიროების გათვალისწინებით სკოლამ დანერგა ინდივიდუალური სტრატეგიები და მოსწავლეზე მორგებული აქტივობები;

» სასწავლო პროცესში სკოლა უწყვეტ რეჟიმში ადევნებს თვალს (აფასებს) მოსწავლის ადაპტაციას, ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას და აკადემიურ პროგრესს, დაუყოვნებლივ რეაგირებს გამოვლენილ საჭიროებაზე.

გემოთ წარმოდგენილი დებულებების გათვალისწინებით, გთხოვთ მოკლედ აღწეროთ:

- ა. რა მექანიზმები აამუშავა სკოლამ ტრანზიციის პროცესში, რაც შედეგიანი აღმოჩნდა?
- ბ. რომელი კომპონენტების გათვალისწინება ვერ შეძლო სკოლამ ტრანზიციის დაგეგმვისა და განხორციელებისას და რატომ?
- გ. რის გაუმჯობესებას გეგმავს სკოლა მომავალი სასწავლო წლისათვის ტრანზიციის პროცესის უკეთ განსახორციელებლად?

ეფექტური ტრანზიციის შემთხვევაში:

- » ბავშვები თავს გრძნობენ უსაფრთხოდ, დაცულად;
- » სკოლის გარემოში ავლენენ სოციალურ და ემოციურ შემგუებლობას;
- » ავლენენ ინიციატივას;
- » აქვთ მიკუთვნილობის განცდა სკოლის თემთან;
- » პოზიტიური ურთიერთობა აქვთ მასწავლებლებსა და თანატოლებთან;
- » ფორმირებული აქვთ საკუთარი თავის, როგორც მოსწავლის პოზიტიური აღქმა;
- » ავლენენ სწავლისადმი დისპოზიციას;
- » იღებენ უწყვეტ სასწავლო გამოცდილებას, აქვთ აკადემიური პროგრესი.

დანართი #1. ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის ფორმა

ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის ფორმა (ნიმუში)

ტრანზიციის პროცესის დაწყების თარიღი	რიცხვი / თვე / წელი / /
-------------------------------------	--

ინფორმაცია ბავშვის შესახებ	
ბავშვის სახელი / გვარი	
ბავშვის ასაკი	
ბავშვის დაბადების მოწმობის ნომერი	

ინფორმაცია ოჯახის შესახებ	
მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის სახელი / გვარი	
მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის ტელეფონი	
მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის ელექტრონული მისამართი	
ბავშვის საცხოვრებელი მისამართი	

ინფორმაცია გამწვებ დაწესებულებების / დაწესებულებების შესახებ			
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	ადრეული ინტერვენციის პროგრამა	რეაბილიტაცია / აბილიტაციის მომსახურება	სხვა
დაწესებულების სახელი	დაწესებულების სახელი	დაწესებულების სახელი	დაწესებულების სახელი
.....			
მისამართი:	მისამართი:	მისამართი:	მისამართი:
.....			
ელფოსტა:	ელფოსტა:	ელფოსტა:	ელფოსტა:
.....			
ტელეფონი:	ტელეფონი:	ტელეფონი:	ტელეფონი:
.....			
ტრანზიციის მართლმადიდებელი პირი:	ტრანზიციის მართლმადიდებელი პირი:	ტრანზიციის მართლმადიდებელი პირი:	ტრანზიციის მართლმადიდებელი პირი:
.....			

ინფორმაცია მიმღები დაწესებულების შესახებ (ივსება მიმღები დაწესებულების მერყვის მუშდგ)	
სკოლა სკოლაშდელი აღმრდის დაწესებულება სხვა	
დაწესებულების სახელი:	
მისამართი:	
ელფოსტა:	
ტელეფონი:	
ტრანზიციის მხარდაჭერი პირი:	

მნიშვნა: ქვეშეშაიუ ბლოკი ივსება ტრანზიციის გუნდის ყოველი ახალი მუშედლისას

ტრანზიციის გუნდის მუშედლა		რიცხვი / თვე / წელი / /	
მონაწილე პირები			
პოშიცია		სახელი / გვარი	
გეგმა მონაწილე მხარეებისთვის			
აქტიუობა	განხორციელების ვადა / თარიღი	პასუხისმგებელი მხარე / პირი	შენიშვნა
1.			
2.			
3.			
4.			
შედეგ: (ივსება მომდენო მუშედლაზე შესრულებულ აქტიუობებზე რეფლექსიის საფუძველზე)			



თუ გსურთ, გადმოწეროთ ინდივიდუალური
ტრანზიციის გეგმის ფორმა (ნიმუში),
დაასკანერეთ კოდი.

დანართი # 2. ფიზიკური გარემოს შეფასების კითხვარი

რამდენად ესადაგება სკოლის ფიზიკური გარემო ბავშვების ტრანზიციის პროცესში გამოკვეთილ საჭიროებებს?

არის თუ არა სკოლის შესასვლელში პანდუსები?	☐ კი ☐ არა
არის თუ არა სკოლაში ადაპტირებული სველი წერტილი?	☐ კი ☐ არა
არის თუ არა შესაძლებელი ეტლით მოსარგებლე პირთათვის სართულებს შორის გადაადგილება?	☐ კი ☐ არა
აქვს თუ არა სკოლას ტრანსპორტით მომსახურება და არის თუ არა ტრანსპორტი ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის?	☐ კი ☐ არა
არის თუ არა მისაწვდომი სპორტული დარბაზი, საკვები ობიექტი?	☐ კი ☐ არა
არის თუ არა მისაწვდომი სკოლის ბიბლიოთეკა?	☐ კი ☐ არა
არის თუ არა კედლის მიმყოფი მოაჯირები კიბის უჭრედებში?	☐ კი ☐ არა
არის თუ არა სენსორული საგნები კიბის დასაწყისსა და ბოლოში?	☐ კი ☐ არა
არის თუ შენობაში სენსორული ბილიკები?	☐ კი ☐ არა
არის თუ არა კარის ღიობების სიგანე საკმარისი ეტლით მოსარგებლე პირებისათვის?	☐ კი ☐ არა
არის თუ არა შენობაში დამხმარე მოწყობილობები (ხმის გამაძლიერებელი, ადაპტირებული ავეჯი და სხვა)?	☐ კი ☐ არა
არის თუ არა სკოლაში საკმარისი რაოდენობით კომპიუტერები, პროექტორები, პრინტერები (მათ შორის ფერადი პრინტერი)?	☐ კი ☐ არა
არის თუ არა სკოლაში შესაბამისად აღჭურვილი რესურსთაბი?	☐ კი ☐ არა
გამოვლინდა თუ არა პანდუსის მოწყობის საჭიროება?	☐ კი ☐ არა
გამოვლინდა თუ არა ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის საჭიროება?	☐ კი ☐ არა
გამოვლინდა თუ არა სართულებს შორის გადაადგილების გაუმჯობესების საჭიროება?	☐ კი ☐ არა

გამოვლინდა თუ არა ტრანსპორტირების საჭიროება?	☐ კი ☐ არა
გამოვლინდა თუ არა ადაპტირებული ტრანსპორტის საჭიროება?	☐ კი ☐ არა
გამოვლინდა თუ არა სპორტული დარბაზის, საკვები ობიექტის მისაწვდომობის საჭიროება?	☐ კი ☐ არა
გამოვლინდა თუ არა ბიბლიოთეკის მისაწვდომობის საჭიროება?	☐ კი ☐ არა
გამოვლინდა თუ არა კედლის მიმყოფი მოაჯირების საჭიროება?	☐ კი ☐ არა
გამოვლინდა თუ არა კიბის დასაწყისსა და ბოლოში სენსორული საგებების საჭიროება?	☐ კი ☐ არა
გამოვლინდა თუ არა სენსორული ბილიკების საჭიროება?	☐ კი ☐ არა
გამოვლინდა თუ არა კარის ღიობების გაფართოების საჭიროება?	☐ კი ☐ არა
გამოვლინდა თუ არა შენობაში დამხმარე მოწყობილობების (ხმის გამაძლიერებლის, ადაპტირებული აგეჯის...) საჭიროება?	☐ კი ☐ არა
გამოვლინდა თუ არა კომპიუტერების, პროექტორების, პრინტერების (მათ შორის ფერადი პრინტერის) საჭიროება?	☐ კი ☐ არა
გამოვლინდა თუ არა რესურსოთახის საჭიროება?	☐ კი ☐ არა
გამოვლინდა თუ არა რესურსოთახის აღჭურვილობის განახლების საჭიროება?	☐ კი ☐ არა

საჭიროებების შეჯამება - პრიორიტეტების დაცვით ჩამოწერეთ განსახორციელებელი ცვლილებები / გასატარებელი ღონისძიებები:

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.



დაასკანერეთ QR კოდი და
იხილეთ სკოლის
თვითშეფასების კითხვარის
ელექტრონული ვერსია